რატომ არის საჭირო ტესტირება აივ/შიდსზე

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE | GEORGIA HIV PREVENTION PROJECT

BEMONI PUBLIC UNION

TANADGOMA

საინფორმაციო მასალა დაბეჭდა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული საქართველოში აივ პრევენციის პროექტის (GHPP) მხარდაჭერით.

პროექტს ახორციელებს

RTI International, Save the Children, PATH,

საზოგადოებრივი გაერთიანება "ბემონი" და

საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი "თანადგომა"

აივ-ი (ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი) არის ვირუსი, რომელიც ადამიანის ორგანიზმში შეჭრის შემდეგ აზიანებს ორგანიზმის იმუნურ სისტემას, რის შედეგად ქვეითდება იმუნუტეტი (ორგანიზმის დამცველობითი უნარი, გაუმკლავდეს სხადასხვა ინფექციებსა და სიმსივნურ დაავადებებს).

აივ-ით გამოწვეულ დაავადებას ვირუსის შეჭრის მომენტიდან სიცოცხლის ბოლომდე ეწოდება აივ ინფექცია.

შიდსი (შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი) არის აივ ინფექციის ბოლო სტადია, როდესაც ავადმყოფს უვითარდება გარკვეული, ე. წ. ოპორტუნისტული დაავადებები (ძირითადად ინფექციური და/ან სიმსივნური ბუნების) და იმუნური სისტემის მძიმე დაზიანება.

აივ-ის დროული დიაგნოსტიკა და დროულად დაწყებული მკურნალობა საშუალებას იძლევა, თავიდან ავიცილოთ სიცოცხლისათვის საშიში გართულებების განვითარება.

საქართველოში 2011 წლის მარტის მონაცემებით რეგისტრირებულია აივ ინფიცირების 2752 შემთხვევა. ინფიცირების უმეტესი წილი მოდის ნარკოტიკების ინექციური გზით მოხმარებაზე (56,9%) და დაუცველ (კონდომის გარეშე) სქესობრივ ურთიერთობებზე, როგორც ჰეტერო (36,3%), ასევე ჰომოსექსუალური კავშირების დროს (3,1%).

აივ-ის გადაცემის გზები

არსებობს აივ-ის გადაცემის 3 ძირითადი გზა. ესენია:

- ჯანმრთელი ადამიანის სისხლის კონტაქტი ინფიცირებული ადამიანის სისხლთან - შეუმოწმებელი სისხლის გადასხმა, სამედიცინო მანიპულაციები, არასტერილური სამედიცინო ან კოსმეტოლოგიური ინსტრუმენტების ხმარება, ზიარი შპრიცების, ან სხვა საინექციო ატრიბუტიკის გამოყენება ინექციური ნარკომანიის შემთხვევაში, ტატუირება და სხვ.
- დაუცველი (კონდომის გარეშე) სქესობრივი ურთიერთობები, როგორც ჰეტეროსექსუალური, ასევე ჰომოსექსუალური - ნებისმიერი სახის დაუცველი სქესობრივი კონტაქტი (ვაგინალური, ანალური, ორალური).
- ვერტიკალური გზა - აივ ინფიცირებული დედიდან შვილზე ორსულობის, მშობიარობის ან ძუძუთი კვების პროცესში.

რა საჭიროა აივ-ზე ტესტირება?

მხოლოდ აივ-ზე სისხლის ტესტირებამ შეიძლება გასცეს პასუხი კითხვას, არის თუ არა ადამიანი აივ ინფიცირებული,რადგანაც ინფიცირების საწყის პერიოდში (რომელიც შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე წელი) ადამიანს შესაძლოა არ გააჩნდეს რაიმე ჩივილი ან სიმპტომი.

ამიტომ, თუკი თქვენ ოდესმე მაინც გქონიათ სარისკო ქცევა, რომელსაც შეეძლო გამოეწვია აივ-ით ინფიცირება (როგორიცაა ნარკოტიკების ინექციური გზით მოხმარება ან დაუცველი სქესობრივი კავშირი) და თქვენთვის მნიშვნელოვანია თქვენი და თქვენი ახლობლების ჯანმრთელობა, აუცილებელია გაიკეთოთ აივ-ზე სისხლის ანალიზი.

ვისთვის არის რეკომენდებული აივ/შიდსზე კონსულტირება და ტესტირება?

- ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლები;
- ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლების სქესობრივი პარტნიორები;
- პირები, რომლებიც აღნიშნავენ მრავლობით დაუცველ სქესობრივ კავშირებს;
- კომერციული სექსის მუშაკები;
- მამაკაცები, რომლებსაც აქვთ სქესობრივი კავშირი მამაკაცებთან;
- პირები, რომლებსაც გადატანილი აქვთ ან ავად არიან სქესობრივი გზით
- გადამდები ინფექციებით (სიფილისი, გონორეა, ქლამიდია, ტრიქომონიაზი და სხვ.);
- პირები, რომლებსაც ხშირად უტარდებათ სამედიცინო მანიპულაციები;
- სისხლის ან სისხლის პროდუქტების რეციპიენტები;
- პირები, რომლებსაც გადატანილი აქვთ ან ამჟამად არიან ავად ქრონიკული B, C და D ჰეპატიტებით;
- ორსული ქალები, ქალთა კონსულტაციებში ან სამშობიარო სახლებში მიმართვისას.

როგორ ხდება აივ-ზე კონსულტირება და ტესტირება?

თუ თქვენ გადაწყვეტთ აივ-ზე კონსულტირება/ტესტირებას, კონსულტანტი დეტალურად გიამბობთ აივ-ის გადაცემის გზების შესახებ, გაგაცნობთ ტესტირების პროცედურას, გაგცემთ პასუხს თქვენთვის საინტერესო ყველა კითხვაზე. კონსულტანტი გაგესაუბრებათ ასევე ტესტირების სავარაუდო შედეგებზე (აივ დადებითი, აივ უარყოფითი, გაურკვეველი პასუხი) და მოგცემთ რჩევებს, თუ რა უნდა მოიმოქმედოთ თითოეული ამ ვარიანტის შემთხვევაში. თუ ამ გასაუბრების (კონსულტირების) შემდეგ თქვენ თანახმა იქნებით,ჩაიტაროთ ტესტირება,კონსულტანტი მიგაცილებთ საპროცედურო ოთახამდე, სადაც მოხდება თქვენი სისხლის აღება ანალიზის/ტესტის ჩასატარებლად. კონსულტირება და ტესტირება მიმდინარეობს მეგობრულ, მშვიდ და კომფორტულ ვითარებაში.

კონსულტირება და ტესტირება აივ-ზე არის ანონიმური და კონფიდენციალური. თქვენ შეგიძლიათ, თავისუფლად ისაუბროთ კონსულტანტთან თქვენი ქცევის (როგორც სქესობრივი, ასევე ნარკოტიკების მოხმარების) ყველა დეტალზე. კონსულტანტს არ აქვს უფლება, გაანდოს თქვენგან მიღებული ინფორმაცია სხვა, მესამე პირს. ტესტირების შედეგები გეცნობებათ მხოლოდ თქვენ. თუ თქვენ აღმოგაჩნდებათ აივ ინფექცია, თქვენ დეტალურად გაგაცნობენ, თუ რა სტადიაზე დაგჭირდებათ მკურნალობა და რა ნაბიჯები უნდა გადადგათ იმისათვის,რომ თავიდან აიცილოთ დაავადების პროგრესირება.

თუ თქვენ არ აღმოგაჩნდებათ აივ ინფექცია, კონსულტანტი მოგაწვდით დეტალურ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ შემდგომში როგორ აიცილოთ თავიდან აივ ინფიცირების საფრთხე.

დღეისათვის აივ ინფექციის ლაბორატორიული დიაგნოსტიკის ძირითადი მეთოდები 2 ჯგუფად იყოფა: 1) პირველადი ანუ სკრინინგული და 2) დამადასტურებელი ანუ კონფირმაციული.
სკრინინგულ მეთოდებს შორის ყველაზე ფართოდ გამოიყენება აივ-ზე ანტისხეულების გამოვლენა სწრაფი მარტივი ტესტით, რომლის დროსაც ანალიზისთვის ხდება სისხლის წვეთის აღება თითიდან. ტესტის პასუხის მიღება შესაძლებელია სწრაფად, 10-15 წუთში. აღნიშნული მეთოდიკა გამოირჩევა მაღალი მგრძნობელობითა და სპეციფიურობით, ამიტომ უარყოფითი პასუხის შემთხვევაში კონფირმაციული ტესტის ჩატარება საჭირო აღარ არის.

გასათვალისწინებელია ე.წ. "ფანჯრის პერიოდის" არსებობა. ეს არის პერიოდი ინფიცირების მომენტიდან 8-10 კვირის (2-3 თვის) განმავლობაში, როდესაც სისხლის სკრინინგული ანალიზი ვერ გამოავლენს,არის თუ არა ადამიანი აივ-ით ინფიცირებული.

სკრინინგული ტესტის დადებითი შედეგის შემთხვევაში კვლევა გრძელდება დამადადასტურებელი, ანუ კონფირმაციული მეთოდით, რომელიც უკვე დანამდვილებით ადგენს, არის თუ არა ადამიანი აივ ინფიცირებული. კონფირმაციული ანალიზის შედეგის მისაღებად საჭიროა დაახლოებით 7-14 დღე. თუ კონფირმაციულმა ანალიზმა აჩვენა დადებითი პასუხი, მაშინ დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ ადამიანი არის აივ ინფიცირებული, ანუ მას აქვს აივ ინფექცია. თუ კონფირმაციულმა ანალიზმა აჩვენა უარყოფითი პასუხი, მაშინ დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ ადამიანი არ არის აივ ინფიცირებული, ანუ მას არ აქვს აივ ინფექცია.

არსებობს ტესტირების პასუხის 3 ვარიანტი: ნეგატიური, პოზიტიური და გაურკვეველი.

ნეგატიური (უარყოფითი) - პიროვნება არ არის აივ ინფიცირებული, ან ინფიცირების მომენტიდან ჯერ არ გასულა 3 თვე და ადამიანი იმყოფება "ფანჯრის პერიოდში". შესაბამისად, თუ ადამიანს სარისკო ქცევა ჰქონდა (როგორიცაა ნარკოტიკების ინექციური გზით მოხმარება ან დაუცველი სქესობრივი კავშირი), მიზანშეწონილია განმეორებითი ტესტირება 3 თვის შემდეგ.

პოზიტიური (დადებითი) - პიროვნება არის აივ ინფიცირებული, თუმცა ინფიცირება დადასტურებულად ითვლება მხოლოდ დამადასტურებელი (კონფირმაციული) მეთოდით ტესტირების შედეგის საფუძველზე.

გაურკვეველი - პიროვნების აივ სტატუსი დაუდგენელი რჩება, საჭიროა განმეორებითი ტესტირების ჩატარება.

რა სარგებლობა მოაქვს აივ-ზე ტესტირებას?

მიუხედავად აივ-ზე ტესტირების შედეგისა, კონსულტანტი მოგაწვდით საჭირო ინფორმაციას ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ. თქვენ მიიღებთ ამომწურავ ინფორმაციას აივ/შიდსის შესახებ და გეცოდინებათ, როგორ დაიცვათ საკუთარი თავი და თქვენთვის ძვირფასი ადამიანები ამ ინფექციისაგან.

თუ ტესტის პასუხი უარყოფითი აღმოჩნდა, თქვენ შვებით ამოისუნთქავთ, ხოლო შემდგომში უფრო გაფრთხილდებით და დაფიქრდებით, ვიდრე ჩაიდენთ სარისკო ქცევას, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს თქვენი აივ-ით ინფიცირება.

თუ ტესტის პასუხი დადებითი აღმოჩნდა, თქვენ შეგეძლებათ, კონსულტანტთან ერთად დაგეგმოთ თქვენი მომავალი ისე, რომ გააგრძელოთ ჩვეული ცხოვრება. თქვენ შეიტყობთ იმ ადამიანებზე, ვინც მრავალი წლის განმავლობაში ცხოვრობს აივ ინფექციით და ამავე დროს აგრძელებს სრულფასოვან ცხოვრებას და მოღვაწეობას, ასევე გაიგებთ იმ ორგანიზაციებზე, რომლებიც მუშაობენ აივ ინფიცირებულებთან და ეხმარებიან მათ ფსიქოლოგიური თუ სოციალური პრობლემების დაძლევაში.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საჭიროების შემთხვევაში თქვენ შეგეძლებათ უფასოდ ჩაიტაროთ ყველა სამედიცინო გამოკვლევა და ასევე უფასოდ მიიღოთ მკურნალობა კონფიდენციალობის სრული დაცვით.

სად შეიძლება ჩავიტაროთ აივ-ზე ტესტირება?

საინფორმაციო-სამედიცინო ფსიქოლოგიური ცენტრი "თანადგომა"

თბილისი:	ა. ქურდიანის №21,	ტელ: 225 18 19
ქუთაისი:	პ. ოცხელის №2,	ტელ: 26 50 26
ბათუმი:	ვ. გორგასლის №113,	ტელ: 27 42 13
ზუგდიდი:	კ. გამსახურდიას №206,	ტელ: 22 92 99

ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი

თბილისი:	ალ. ყაზბეგის №16,	ტელ: 239 80 18

საზოგადოებრივი გაერთიანება "ბემონი"

თბილისი:	ქავთარაძის №16,	ტელ: 218 87 88
თელავი:	უნივერსიტეტის №20,	ტელ: 27 10 94